ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი #6

ქ. ცაგერი 29 აპრილი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: გიორგი გუგავა, თამაზი ჭაბუკიანი,
ზაზა ყურაშვილი, ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:
დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, ნატო ბურჯალიანი, მამუკა მამარდაშვილი, მამუკა ჩიქოვანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე: გოგიტა ახვლედიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი,
მარი ბურჯალიანი, თინათინი ნემსწვერიძე, თამაზ თვარაძე,
ხვიჩა ჩხეტიანი, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი,
კახა ყურაშვილი;

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი:
შორენა დვალი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელშიმდებარე 11 579 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელშიმდებარე 11 579 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა შორენა დვალმა, აღნიშნა რომ დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს კანონი ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის №104 დადგენილება ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაციის პირობების და ვადების დადგენისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის მართვის წესის დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული პროექტის მიღება და მისი შესრულება ფაქტობრივად წესრიგში მოიყვანს შინაური ბინადარი ცხოველების, განსაკუთრებით ძაღლების მოვლის, რეგისტრაციის, გამრავლების და მათი შემდგომი პოპულაციის საკითხს, რაც ერთ-ერთ გამოწვევად რჩება მთელ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში.

დადგენილების შესრულება არ მოითხოვს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგანაც მთავრობის გადაწყვეტილებით ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 2

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელში მდებარე 11 579 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელშიმდებარე 11 579 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთრებაში დაირეგსტრირა ორბელის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ლაჯანაში მდებარე 11 597 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 89.04.29.872. აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კერძოდ რაგბის მოედანი.

2026 წლის 20 აპრილს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის MDF №1969-გ წერილი, რომლითაც საქართველოს მთავრობის №1008 განკარგულების და ასევე 2026 წლის 26 იანვრის №177 -ე განკარგულების საფუძველზე დაევალათ ცაგერის მუნიციპალიტეტის ორბელის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ლაჯანაში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად შესაბამისი საქონლის, მომსახურეობისა და სამუშაოების შესყიდვა. ამისთვის სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი ითხოვს ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ, აღნაგობის უფლებით გადაცემას 2027 წლის აპრილის ჩათვლით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 2026 წლის 26 იანვრის №177 -ე განკარგულების განკარგულების მე-13-ე პუნქტის საფუძველზე, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაეცეს სოფ. ლაჯანაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ს/კ 89.04. 29.872, 11597 კვ.მ. 2027 წლის 30 აპრილამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელშიმდებარე 11 579 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ვასილ საღინაძე**